



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 45

2014 წლის 07 ოქტომბერი

**სოფელ ნაფარეულში ზურაბ ბალაშვილის სახელობის
მემორიალის მოწყობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მესამე ნაწილის და ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ზურაბ ბალაშვილის სახელის უკვდავსაყოფად თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში მდებარე სკვერში (ს/კ 53.14.40.036) მოეწყოს მისი სახელობის მემორიალი.

2. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეითანხმოს მემორიალის ესკიზური პროექტი.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი